Ֆ 3618
2

ՀԱՅԿԱՆՈՒՇ



ბატონს მოსტაცა მოახლე, ახალციხეს გაუყენა...

არსენას ლექსი

შაირ სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:
ღმერთმა მოგცეს განათლება ოძელაშვილო არსენა.
ეეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრისა დაფენა,
შვიდ წელიწადს ტყედ იარა, მთა და ბარი შეაჯერა,
რომ შეიქნა თექვსმეტი წლის, ულვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააქენ-გამოაქენა,
ზაალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა.
მოახლე ჰყავდა ბატონსა, ნებასა სთხოვდა არსენა:
—„ეგ გოგო ცოლად მომეცი, სხვა არაფერი მინდაო,
თორმეტ თუმანსა მოგართმევ, მოგითვლი ჩქარა ჩქარაო“.
ეს რომ ზაალმა გაიგო წარბი არ შეიხარაო.
ბატონი ნებას არ აძლევს, კიდევაც უჯავრდებაო:
„ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის ამისთანაო?
თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები მაგისთანაო?!“
—„აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადეგ და მომყევ თანაო“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ჰყარაო.
ადგა ეს ჩვენი არსენა, იხმარა საშვალებაო:
ეარიდან ვეღარ შეასწრო, ფანჯრიდან გადიპარაო,
ბატონს მოსტაცა მოახლე, ახალციხეს გადუყენა,
ჩითის კაბები გაჰხადა და ფარჩისა შეუკერა,
იმის ქვემოდ შეიდიში კოჭებამდინ დაუმშვენა.
რა რომ შინადგან გავიდა, ბარათაშვლს გადემტერა:
მობრუნდა ჩვენი არსენა, ცოლშვილთ

☘

დაჯდა ჩვენი ის ზაალი და სტოლზე წიგნი
დასწერა,
ქალაქში გამოაცხადა, გუბერნატორს მოახსენა:
„ერთი ბიჭი გამივარდა, დამაქცია დამანელა!
ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართვა და გადმიყენა,
წამახდინა არსენამა.... თუ მიშველით რასმე თქვენა.
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა“.

☘

მართებლობამ ყაზახები თრიალეთისკენ გაგზავნა.
კოდაზე რომ შემოვიდენ წინ იქ დაუხვდათ არსენა.
—„სდრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს! კუდა იდოშ,
საითკენა?
—„ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქვს, მივდივართ
მარაბდისკენა,
ერთი ბიჭი გამოგვექცა, ზაალის უნდა წახდენა,
სახელად ჰქვიან იოსებ, მეტი სახელი არსენა.
თუ ვისმეს კი გაგეგონოთ, გვინდა იმისი დაჭერა“.
ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა,
ნაბადი გვერდზე იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა:
—„მე გახლავარ ის არსენა, მოდით დამიჭირეთ თქვენა“.
ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა:
ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვრებივით გადმოდენა,
თრიალეთიდამ გამოჰყვა, კოდის ძირს შემოატარა,
თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხითში არ გააჩერა.
იმ საწყალსა ყაზახებსა, ზურგზე ბოლი ააყენა.
„ნას კაკოიც“ მიაძახა,—„თავათ გახლავარ არსენა!“
სულ უკან იხედებოდენ, „აღარ მოგვდევდეს არსენა“.
ქალაქშიც ნაჩალნიკსა ყველამ ასე მოახსენა:

ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვრებივით გადმოდენა...

„უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერა,
ან არის დევი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკვნეტელა,
თუ ჩვენგან არ დაიჯერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
რომელსაც ხელი მოგვკიდა, ფეხზე აღარ დაგვაყენა,
ექვსსა თოფები წაგვართვა, სულ მიწებით დაგვიტენა!“
ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლა:
„ნეტავი კაცი მაჩვენა ამ არსენას დამჭერელა,
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო და ფულები ამოტელა“.

ერთხელ ალმასის წყაროზე დახვდა არსენ ურიებსა,
ხახამს ადლი გამოართვა, ოთხს კისერში ჩაადებსა:
—„ეს როგორი ადლი არის, რათ გვიტყუებთ
სოფლელებსა?
თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყდომიათ ხვნა და
თესვა,
ძალით გაჭმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ
წვენსა,
თუ იმას არ დამჯერდებით, ქართულად დაგპარსავთ
წვერსა.
ქალაქში ჩამოხვალთ ხოლმე, ფარჩას არჩევთ შილას
თხელსა,
სოფლებში იცით ტარება, ლამაზადა ჰკაზმავთ ცხენსა,
ქვრივსა და ობლებს გვიტყუებთ, ნამეტნავად
პატარძლებსა!“
იმათი ადლი რომ ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გატეხა-და გადააგდო: „ფუ, გამჭედი გაუწყდესა!“
შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გძელი თქვესა,
შვიდი მტკავლით გაუზომა: „მისხალი არ დააკლდესა“.
—„თუ ამითი არა ჰყიდეთ, ვაი დედითქვენის ღმერთსა!

სადაც რომ შემოგეყრებით, სულყველას დაგჭრით
ყელებსა!"
იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:
„ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რალა დახლი დაგვიდგესა,
ისევე ჩვენი ფართალი იმ ჩვენ დუქანში დალპესა,
არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმენი წახდესა!"
—„საახალუხე მამყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა".
ეს არსენა ეუბნება შეშინებულ ურიებსა.
არა ღირდა ორ მანეთად, ორ თუმნად დაუფასესა.
მაშინ ჩვენი არსენაი, თითო მუშტსაც წაადებსა.
დახედე, საახალუხეს სულ ტყვილადაც წაართმევსა.
ყიდევ იმათ ეუბნება:—„თქვენ ჯიბეში ფული ძევსა,
ამოიღეთ, ჩამაბარეთ, ვიცი საგძლათ მომინდესა".
ის საწყალი ურიები დაეკითხენ ერთმანეთსა:
—„ვაჟო, ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს
გაგვიშვებსა".
ამოიღეს და გადუდეს თუთხმეტი თუმნის ოდენა.
ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა.
—„ოღონდ დაგვეხსენ არსენა, გამოვაცხობთ
სეფისკვერსა,
ქართულად დავინათლებით, კარგა დავიპარსავთ წვერსა,
ძალათა ვჭამთ ღორის ხორცსა, ზედ თავზე დავისხამთ
წვენსა"-

გზას სომეხი მოდიოდა, არხეიხად ნელი-ნელა,
არსენა რომ დაინახა თავქვე ცხენი დააჭენა.
წინიდან წამოუარა:—„საით მიბრძანდებით ქვენა?
ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თექა ჩაიცვით ქვენა".

არსენს გაუკრავენ ხელსა...

ის ჭულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშვენა.
ცხენი გრილოში დააბა, თავათ იქვე მოისვენა.

*

ბრძანება შემოეთვალათ ტფილისიდან უფროსებსა:
„ერთი კაცი ისეოს ჩადის, ათასი ვერ შეიძლებსა!
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა“.
კარაულტინები შეუკრეს იქით და აქეთ მხარესა,
„ბიჭი მარდია არსენა, ლეკში არსად გადვიდესა,
თუ რომ ის ლეკში გადვიდა, ყაჩაღობას დაიწყებსა,
ყაჩაღობას ვინ დაეძებს, ტფილის-ქალაქს წაგვიხდენსა!“

***

გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხეველსა:
ნათლი-მამათ მოეკიდა, მაგრამ ის ულალატებსა.
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს წაასხამს ცხვრებსა,
თაფარავანის მთაზედა წინ არსენა დაუხვდესა.
—„არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?“
—„მიღალატებ ნათლი-მამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა“.
—„არსენს როგორ გიღალატებ, სამი შვილის მომნათვლელსა,
ჩემი მირონის მომღებსა.....“
შირს დედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა,
მაშინა სთქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა!“
მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა
შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.
ეი ლამაზი ღვინითა ის არსენა დაგვითვრესა.
დამთვრალსა და გალეშილსა ტკბილი ძილი მოუნდესა,

იარაღი აიყარა, ნათლი-დედას აბარებსა:
—„ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, ადრიანად
დამჭირდესა“.
იალღოჯი და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,
ზედ ტყავები წააფარეს: „არსენას არ შეცივდესა“.
იმ მამაძაღლს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?
შუა-ღამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა:
ათს ისეთს ბიჭს ამოირჩევს, რომ შეებმის თითო დევსა.
ათი თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწვესა.
არსენამ წამოიწია, შეევედრა მეუფესა:
„ე მამაძაღლის ტიელი რა ბუზები მასხედს ესა“.
ათსა ეგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს
ყბებსა,
მეთერთმეტე-მეთორმეტე არსენს გაუკრავენ ხელსა,
ისე მაგრა გაუჭირეს, ფრჩხილებში სისხლი გასწვეთსა.
—„ნათლი-მამავ, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების
ხელსა,
ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში
განსაცდელსა!
რომ მღალატობ ნათლი მამავ, იქ რას ეტყვი მაღალ
ღმერთსა?
ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთის მშობელი გაგიჩენსა.
ფარსადანო, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების
ხელსა,
ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა“.
ფარსადანს ასე ეგონა, მეუბნება ტყუილებსა,
არსენა რომ დავიჭირე, ჩინს მოზცემენ ტემლაკებსა.
ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა:
„ბიჭი მარდია არსენა, გზაზედ არსად გადმოხტესა“.
წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდგანა ღვრიდა ცრემლსა,



მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა...

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დაადევსა:
იმერლები იძახიან: „კი-კი-კისა და ქვე-ქვესა“.
სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არის ესა“.
ოსები კი იძახოდენ: „ხორზუ-ხორზუ არი ესა“.
რუსები: „ოჩენ ხაროში, ეი-ბოლუ მალადეცა“.
ებერები გაიძახიან: „ახ, ნეტავი დედაშენსა“.
პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!
ნეტა იმ ქალს ბედნიერსა, გადაუხვევ ვისაც ხელსა!“
მაგარი ბორკილი მიაქვს, თორემ წვრილებს
დაამტვრევსა,
ჯიღისტოლა თვალები აქვს, მტერი რაღას დააკლებსა.
მოუბრუნდება ფარსადანს, კამბეჩივით შეუბღვერსა:
—„რას მიპირობ ნათლი-მამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა?
თრიალეთში ცხვარს გაგიწყობ, მინდორში დაგიწვავ
ძნებსა,
მირონსაც ალარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა!“
იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა.
უფროსი გამობრძანდება, ბალკონიდან გადმოსცქერსა.
ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა:
—„შე წუწკო და მამაძაღლო, რად იჭერდი ე მაგ
ტყვესა?
ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა?!“
არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამჭერსა.
ფარსადანს ასე ეგონა „ჯამაგირსაც გამიჩენსა“.
იმტელი მამა უცხონდა, რამტელიც იმას მისცესა,
ერთი ოთხიოდ პანღური ამოჰკრეს და გააგდესა.
უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალაო;
„რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაო!“
—„რაც შენი ამბავი მოდის, რათა ჰქენ ჩემო არსენა?“
—„მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგეხსენა.

მართალია გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ლარიბის
ჭმევა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა!..“

არსენს ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა.
იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა,
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა,
საციმბიროთ გაამწესეს, ცალი წვერი მოპარსესა.
მაშინა სთქვა არსენამა: „ვაი დედი-ჩემის ლმერთსა!
ტუსაღობაში რომ მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?!“
აფიცრებსა შეეხვეწა:—„იმ თქვენი დედ-მამის მზესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა,
წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა!“
წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.
ერთი საწყალი მანათი არსენს ჯიბეში უდევსა,
ამოიღებს—გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა:
—„ამისი „ოტკა“ დამისხით, მისვით მშიერ
სალდათებსა“.

დახედე, ის მიკიტნები მეგობრათაც გაუხდესა:
სირაჯმა და მიკიტნებმა თვალი უყვეს ერთმანეთსა.
სალდათებს „ოტკა“ ჰგონიათ, ჩუმათ რომი ჩაუსხესა.
ისე დათვრენ სალდათები, ვერა სცნობდენ ერთმანეთსა
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა.
უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუდებსა.
მაშინა სთქვა არსენამა: „ჰე, დიდება მოწყალესა!
ჩემი საქმე არი ესა!“
აუზებთან რომ მივიდა, აიწევს და გადახტესა;
მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა.

შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა...

ყარაულებსა ჰგონიათ: „აგურით იხეხს ფეხებსა“.
აქეთ-იქით შემოხეხა, გადასწევს და დაამტვრევსა,
ფეშაკები დაახვია, რაჟღა-რუჟღს არ დაიწყებსა.
გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამჭედი გაგიქრესა!“
ამ ხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
გაიხდის თავის შინელსა, მაღლა ბალკონზე დასდებსა,
მივა მერე ის არსენა: „ვნახო, როგორ მარგებს ესა!“
წამოისხამს და ჩაიცვამს იმ აფიცრისა შინელსა.
რუსულ კარტუზს დაიხურავს, ჩაიცვამს რუსულ
ჩექმებსა.
კარებში როცა გამოვა, დააბრახუნებს ფეხებსა:
—„ხაბარდა და ჩამოდექით, გზა მიეცით აფიცერსა!“
სუყველა ყარაულებმა გზა მაშინვე დაუგდესა.
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა
პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა, მიაძახა მედროშკესა:
—„ახლავე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავჭრი
ყელსა“.
რომელიც კარგი დროშკაა, ის არსენას მიართვესა.
ჩაჯდა დროშკაში არსენა, შეუდგა დამოუნის გზებსა.
ღმერთს უშველია არსენა ამიერით განსაცდელსა.

კუმისის მთაზე გადადგა, სიძე მოუძღვის სიდედრსა.
არსენამ რო დაინახა—თქვა: „დიდება მოწყალესა!
ჩემი საქმე არის ესა!“ თავდაბლად მოახსენებსა:
—„თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი ჩამობრძანდით
ცხენსა,
მე ტყვე ვარ გამოპარული და გზები მატკენს ფეხებსა!“
დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:

—„გასწი, იქით გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ
ცხენსა?
ხემწიფის გზაზე მიხვდები, ეს კაცი არ გაგიჟდესა!“
მაშინ ჩვენი არსენაი კამბეჩივით შეუბღვერსა:
—„რას ამბობ, შე საძაგელო, მუშტით დაგიმტვრევ მაგ
ყბებსა“.
რაღა ბევრი მოგახსენო, ხელი სტაცეს ერთმანეთსა.
არსენა ღონიერია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებსა,
ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყალფუზივით დააბნევსა
დედა-კაცი ეხვეწება,—„ნუ მომიკლავ ჩემ სიძესა,
მაგ ჩემ გამომცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილად
შეგარგებსა“.
ცხენიც იმას დაულოცა, ზედ ხურჯინსაც გაატნებსა.
—„დედავ, დედა-შვილობასა. შენ ნუ ლამიწყევლი
გზებსა!“
ის დედა-კაცი ლოცავდა:—„ღმერთმა მშვიდობა
მოგცესა,
სადაც წაბძანდ-წამობძანდე, არსენა, გაგიმარჯვდესა!
მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როდი
წაგახდენსა!“
შეჯდება ცხენზე არსენა, შეუდგება შარა გზებსა.
პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებსა:
„მოდი შევიტყო, ხურჯინში რა არისო და რა ძევსა.“
ცალ ხურჯინში ტიკჭორაა, ცხრა ნაზუქი თავს აძევსა,
ცალგნით ორი ქათამია, ინდოური თავს აძევსა.
დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლაბაზათ ქეიფსა სწევსა.
ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,
ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დაუბარებსა:
—„ასე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა:
არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა დღესა.



ცალ ხურჯუნში ტიკჭორაა, ცხრა ნაჭუში თავს აძევსა...

ზდიდარს ართმევს, ოარიბს აძლევს, ღმერთი როგორ
წაახდენსა,
სადაც თათარს დაინახავს „ბურდავალას“ აძახებსა,
სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა“.
ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ დაუბრუნებს ცხენსა,
ერთ თუმანსაც გაუგზავნის, რაც რომ ნალი გაუცვდებსა.
ბებერიც აშას უთვლიდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა“

სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს
წაართმევსა:
—„თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა,
მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები მატკენს ფეხებსა“
მეჯინიბეს ეუბნება:—„უნაგირი სადა ძევსა?“
—„უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით-უძევსა.
ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთს
გაგიგლეჯსა.
ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსა
წაგართმევსა“
—„ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმოაგდებსა!
გადაჯდა და გამოსწია, გადმოუდგება მინდვრებსა.
ყაზახშია გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.
იქ ყოფნა არ მოეწონა, თავის გულში დაფიქრდესა:
„ამათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ ძოუშვებ
წვერსა“
იქიდანაც წამოვიდა და სომხითში გაიმოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ ღღესა.

გადაჯდება ცხენზე არსენ, ქიზიყისკენ გამოსწევსა.
რომ ჩავიდა ქიზიყშია, სულ კაცები ჩაკვეტესა.

ბოდბის-ხევში რომ ჩავიდა, ნათლი-მამას მიაგნებსა.
ფარსადანმა რომ შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა:
იმან და იმისმა ცოლმა სულ კანკალი დაიწყესა,
მეტის-მეტი ჯავრისაგან ადგილზე ველარ დადგესა.
ფარსადან გზავნის საჩქაროთ ძმებთანა თავის კაცებსა,
მოდით, მიშველეთ, თორემა არსენა არ მომარჩენსა.
მოვიდნენ, სთხოვენ არსენას, მხარზე გადუდებენ ხელსა:
—„ფარსადანი გვაპატივე, რაც რომ უნდა გაგიხდესა".
—„ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი
გამიძლებსა".
მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსჭრესა,
შეშინებული ფარსადან იმ ორმოში დამალესა,
ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა,
ზეით ნაბადი დააგეს, არსენა ვერ მიაგნებსა:
„ვიცი არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!"
ორი დღე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა,
მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა,
არსენა აღარ დაეძებს, თავის გულში დაფიქრდესა:
„თუთხმეტ წელს უაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ
მაძევსა,
რაც საქმე ჩამიდენია, სხვისი სისხლი არა მდევსა,
ეხლა მოვკლა ნათლი-მამა, ბოლოს სული წამიწყდესა!"
—„გამობრძანდი ნათლი-დედავ!—ხელში მოჰკიდებდა
ხელსა:
—„გამოუშვი ფარსადანი, აღარ ვერჩი არაფერსა,
ხელს არ ვახლებ, არას ვერჩი, არას ვავნებ არაფერსა,
რაცა მცოდა, ვაპატივე ჯერ მირონს და მერე ღმერთსა!
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ
დამიხვდესა!"

გადაჯდება ცხენზე არსენ, ქიზიყისკენ გამოსწევსა...

ღვთაებობის მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში
სვენია,

იქ იყო მისი დღეობა, თითონაც გეახელია,
მებატონეც იქ მობძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
ხუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია,
კნეინებიც იქა ჰყავდათ, ზედ გადეხვიათ ხელია.
რომ დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია.
როცა წირვა გამოვიდა—იმისი მადლი შენია,
იმ სუმბათოვს ეუბნება:—„ჰა, გამარჯობა შენია,
ქალაქში რო შარს ძიგდებდი, ახლა ხომ მოგასწარია.
მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია!“
კნეინა ქმარს ეუბნება:—„შენი ჭირიმე, შენია,
აიღე და გადაუგდე ეგ ოხრათ დასარჩენია.
თორემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგჭრა ყელია,
სულ ყველა ოხრად დაგრჩება, დროშკა და მათი ცხენია,
მეც ხომ არსენა წამიყვანს, დარჩები ცარიელია.“
შინლიანებ გადმოუგდო აპელატები სქელია.
წამოიფინა არსენამ, გამორბის, როგორც შველია.
მაკაროვს თავის ხმალზედა ააღებინა ხელია

არსენა თონეთს წავიდა, ქეიფებსაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა სულ ყველას ღვინოს
ასმევსა.

მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა,
სადაც მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევენ ხელსა.
ამოიღებს ის ფულებსა, ტოლ ამხანაგებს აძლევსა:
—„შესანდობელი დალიეთ, როცა არსენა მოკვდესა“.

რაც იმას საქმე ეამბა, იმისთანა თქვენსა მტერსა:
„ვნახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებავდი წვერსა,
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა
გადამხდესა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ მომარჩენსა,
ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ
კვერცხსა,
თუ ძალათ არავინ მომკლავს, ნებით გამოვიჭრი ყელსა“
რას ამბობს, ბიჭი არსენა როდი ემატება ღმერთსა.
ამხანაგები ამბობენ: „უფალი არ წაახდენსა,
თუთხმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ
აძევსა,
სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა,
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ
წაახდენსა“.

მაშინ ეს ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა
დილმის სწორა რომ გავიდა, მიკიტნებმა დაათვრესა,
იქ ბევრი დაალევინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.
მცხეთის პირდაპირ მივიდა, მუხათგვერდში ქეიფს
სწევსა.
ის რომ პურის ჭამათ დაჯდა. ცხენს ბალახზე გაუშვებსა.
იმ გიორგი კუჭატნელსა გამჩენელი გაუწყრესა.
წამოსულა კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა.
არსენას ამოუარა, გამარჯობას ეტყვის ერთსა:
—„გამარჯობა, გაგიმარჯოს, სალამათ ხომ ეს იყვეს.
—„გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი დედ-მამის მზესა!“
გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის ყელსა:
—„ვა, შე საწყალო არსენა, რათა ხარ ჭკუა თხელია?
მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია!

მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზე მოისვამდა ხელსა.

„ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია“.
ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია:
„კაცად როდიღა ჩამაგდო, რაღა ბიჭობა ჩემია,
ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგიცვალოს ფერია“.
გაჯავრებული არსენა პირიდამა ჰყრიდა ცეცხლსა:
„დახედე ამ სალახანას, კაცად ხომ არ ჩამაგდებსა!“
არსენამ შემოუარა, იმ გიორგის დაუხვდესა:
—„გიორგი, საით მიდიხარ, არსენა არ გაგიშვებსა!
ან უნდა მამცე ფულები, ან შენი ცხენი დამრჩესა!“
გიორგიც ეუბნებოდა:
—„ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რომ მოჰკიდებდი ხელსა,
ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა,
ორმოცი ტყვია მესროლეს, ვერაფერი დამაკლესა!“
მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზედ მოისვამდა ხელსა,
პირით რომ ვერ გაიმეტა, ყურით გადაუკრა ცხენსა.
ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.
მაშინა სთქვა არსენამ: „დღეს მზე დაბნელდა ჩემია!
ხმალო, რა დროს მიღალატე, გაგიწყდეს გამჭედელია!“
შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია.
დაღონებული არსენა ცხენიდან გადმოვარდესა.
ცაციათი ხანჯალზედა არსენა მოისვამს ხელსა;
ცოტას კიდეც მიაწვდენდა ბარძაყზედა ხანჯლის წვერსა,
ცალი ყური ჩამოსთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა.
—„ვერ გაგიმეტე გიორგი, ვაი დედი-ჩემის ღმერთსა“.
ერთი ლეკის ბიჭი ჰყავდა იმ გიორგი კუპატნელსა,
ბეჭებში ტამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა,
—„ეგეც გეყოფა არსენავ, ექიმი ვერ მოგარჩენსა“.
დაღონებული არსენა აიწევს და ვერ ადგესა.
—„რახან მომკალი გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა.

ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში ძევსა,
ზონახე და მოახმარე ლარიბებს და გლახაკებსა“.
ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა.

მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდან ცრემლი
ჰღვარესა.
ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოირბენსა.
ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდვესა,
გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა,
მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადვესა:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადვესა“.

ფასი 1—20 კ.
ყდა 80 „ } 2 მან.

89